

რედაქცია

რედაქცია... სპირიტუალური... რედაქცია... ვილიფაუნი... 6 თვეს... 13 მან... 7 მან... 4 მან... 9 მან... 5 მან... 3 მან... 6 მან... 4 მან... 2 მან...

დროება

გამოდის ყოველ-ღე მარშაბათს გარდა.

შანი განსახლებისათვის

აქა მხოლოდ ასოზე... რელით ასოზე... შეკლანდის... შეკლანდის... შეკლანდის...

ქმინა ქეთევანი სუბათო-პინა ამით აუწყებს წათესავებს და წაცნობებს, რომ 21 ექვ-ნისთვის, დილით 9 საათზედ იქნება წირვა და პანაშვიდი წმ. ბიორგის (შაშვეთის) ეკკლასიაში, გარდაცვალებულ მისი ძმის უვა-ნათლებულესი თავადისა ივანე ბრიგორის ძის ბრუზინსკის მო-სახსენებლად.

ტელეგრაფები

პეტერბურში, 17 სექტემბერს. დღეს 17 სექტემბერს ზეტერბურში დაბ-რუნდა რუსეთის ელჩა ჰეკინის კარის წინაშე ბიუტოვი. ამბობენ, ბიუტოვი წინგთან შესავრულ შინაობების თან-დასასწრებლად არის დაბრუნებული.

ორ მიწა შუა.

ტფილისი 1, 9 ენკენისთვე მთუ შეგნებლობით როდისმე ზღვით მოგზაურობა ფოთილამ ადესამდის ან სტამბოლამდის, თქვენ, გა-მოცდილებით, გეცოდინებთ, რაც

დავების ფელტონი, 20 ენკენისთვე

გვერდი.

აგზე მომჭირნე, კარგზე ზარმაცი რა ბევრი არის ამ ჩვენში კაცი!!... სიამე ძნელიც ეადვილება, მისს საქმობაში ვინ სჯობს მამაცი? ძეთილი, თუნდ რომ იყოს ადგილი მისს ჰაზრში იმას არ აქვს ადგილი; ის ეზარება, ზანტად უყურებს, იძვრის უგულოდ ნდომა-დასხნილი.

არის ზღვაში ყოფნა დაუჩვევარი კა-ციანათვის. ღღე და ღამ ერთ ადგილ-ზე დგომა, ერთი და იგივე კაცების ყურება, ერთი და იგივე თვალ-უწ-ვდენელი წყალი, მუდამ ერთი უე-ნებელი ცა და პარახოდის ბორბლე-ბის ხმაურობა სულთა-მხუთავსავით გაწვებიან გულზე. სულ ამაზე ფიქ-რობ: ღმერთო. როდის იქნება ერ-თი ხმელეთზე გავლა მეღირსოსო.

მაგრამ თქვენ, ალბათ, ხუთი ექვსი დღე მარტო გაგიტარებთ ამ ზღვა-ზე, პარახოდში საწოლ-დასაჯდომი ადგილი გქონიათ, საჭმელ-სასმელი არ დაგკლებიათ, ხმელეთში გასვლის იმედი არ დაგკარგვიათ, მომავალი ცხადი ყოფილა თქვენ წინ...

თქვენ ის წარმოიდგინეთ ესლა, რა ნაირ მდგომარეობაში უნდა იყ-ვეს ეს საწყალი ახახები, რომელნიც თევზსავთ ჰყრიან ერთი-მეორეზედ „პეიოლ-პეტროლისს“ გემში, რომელ-თაც არც საჭმელი აქვსთ, არც სასმე-ლი, არც ტანისამოსი და—რაც ყვე-ლაზე უარესია—არც ხმელეთში გა-მოსვლის ნება!

ეს კლდე ქნას კაცმა, სანამ უნდა ეწვალოს ზღვაში ეს უბედური ხალ-ხი? მინ უნდა იხსნას ის სიკვდილისა-გან?

არც ჩვენ მმართველობას, არც მსმალოს არ უნდათ შეუშვან ეს ხალხი თავიანთ სამფლობელოში. ჩვენ ვერ ჩავიტივებთ ამ ხალხისთვის იმათი ყოფა-ქცევა, ომის დროს; მსმალე-

თავზე არა აქვს მუფლები ღონე რომ კაცურ კვალზე შეძლოს დადგომა.

ნება ვნებისთვის შეუტყვევია, სისხე წყინებით შეურყვევია, ჰკულ ავდებით უკუუნახავს ზნება გესლად წაურწყვეია!...

ნ. დადიანი. 8 მარტი 1872.

სენაზი ვაჭარების სხობრებიდამ

ძერი მოსტყდეს ჩვენი არუთინა და იქუა. სულ ვებნები, დავიდარა-ბის რავი არა მაქვს მეთქი, აიღეთ ჩემზე ხელი!... აი ესლა-ც ჩამაციდ-ნენთუ სნეული ხალხი ვართო, წავებთ, თბილი წყლებში ვიბანო-თოვებთა ჯანზე მოვიდეთო. მეც ერთ ახახი ვამბობ, თუ წავადეთ. შე ერუმსალო, რომ მიღიხარ შენი ცოდვილი ვისთვის მიგბარებია?! ირთნესხასტია მოხდეს შენი ოჯახ-ში, რე хто атвѣчайтъ?... ბაგრიყე-

თი არ იღებს ჩვენგან განდევნილ ხალხს. მართავეს გვაქვს ჩვენი პო-ლიტიკური მოსახრება, რომლის გამო ამ ხალხს არ უნდა ჰქონდეს ადგილი რუსეთისა და მსმალეთის ტერიტო-რიაში.

მაგრამ რა იქნით დანაშაულობა აქვს ამ ხალხს, რომ ადმენი ხანი ვერ გვიპატივებთ იმისთვის? რამ უნ-და დააფიქროს ჩვენი სახელმწიფო კაცები ამ ერთ მუტა ხალხის უკან დაბრუნებაზე იმ დროს, როცა ომი სრულიად გათავებულია, დრო დაწ-ყარებულია და უკანასკნელი შიში გამქრალა ერთად ბათუმის დაჭერას-თან? და თუ ფიქრი არა იქნება—რა, ნუ თუ იმათი დანაშაული იმდენად დიდია, რომ კაცთ-მოყვარეობას ვა-მორჩილებთ რალაც-ნაირ პოლიტი-კურ მოსახრებას და განათლებული მმართველობა აქამდი მიხწევიანს საქმეს, რომ ამ ხალხმა ზღვაში თავი დაიღვას, ან ერთმანერთი დასჭამოს კაიუტაში?

ამ რამდენიმე წლის წინათ, გვახ-სოვს, მოსკოვის ზოლოგოიური ბა-ლის დირექტორს შევამჩნიეს, რომ ზოლოგოიური ბალისპირუტყვეებს სა-ჭმელს აკლებსო და ერთი ვაი-ვაგლა-ხი ატყდა ჟურნალ-გაზეთებში. ბარ-ბაროსი ვილაც ყოფილა, პირუტყვეებს სტანჯავსო“ იწერებოდნენ ამ ჟურ-ნალ-გაზეთებში. რამდენათ უფრო შესაძრწუნებელია იმ მცირე-წლოვა-ნების და იმ ღეღების ხვედრი, რომ-

დი რალა, წამოვედი. სანამ ქელენზი დაროგასთან მივიდოდი, სანამ სულ ვფიქრობდი, ახმა ავეტქი, ახმახ! ბი-ჭო! რომ მიღიხარ, რა ხელ ღონიერი შენა ხარ და გულადმა? მითი ენა-ხოთ, ერთი რამ სლუჩი მოხდა: ქვე-ყანა სამსეა მგლები, ტურები, კურდ-ლები, რაზმონიკები! რომ მიღიხარ, სად მიღიხარ? მითი სიტყვით შტუკი მამივიდა... შელენზი დაროგაში რომ დავგექი, სამოც-და-თორმეტი პირ-ჯვარი დამიწერია... მითი ენახოთ ერთი რალაც დააჭყვიღეს ასეთი, რომ ნახევარი არშინი შეგნტი, ვამბობ, თუ ეს რა ამბავია? შთუოთ რახბო-ნიკებმა დაგვეცნენ მეთქი: არ ვიცი, თუ რა ვქნა.... მებნებთან, ავეტქი, ნუ გეშინ, ეს მაშინან გაბერესო და ესლა უნდა გაიქცესო. მაი, ვაი! მებ-ნები, ნელა ბიჭო, ნელა; ძალიან ნუ გააჭენებენ უთხაროთ, იქნება ვეღარც კი დააყენონ და სტამბოლში ჩამიტა-ნოს, რა მინდა იქა? წამოვიწვი, რო-გორც უნდა გამოვიქცე, არუთინამ და-მიჭირა და ადგილზე დამაგდო, თუ ავე-

ლებიც შიმშილით იხოცებიან ცასა და წყალს შუა, როგორც იწერებიან გუმინდელ „გოლოოსნი“ ტელეგრაფმა-ში. მაგრამ რა ქნა ჩვენმა კაცთ-მოყ-ვარეობამ, ჩვენმა სულს გრძელო-ბამ?

ან რა ისეთი ცოდვა ჩაიდინა ამ ხალ-ხმა, რომ სამ-ოთხი წლის უბედური ცხოვრებით ვერ გამოისყიდა თავისი შეცდომა? მქვი არ არის, რომ ყო-ველ ნაირი ღალატის, რა დროსაც კი უნდა იყოს — და ნამეტურ ომის დროს — ფიცხლად არის დასასჯე-ლია, მაგრამ კანა არ ვიცით, განა ჩვენმა სახელმწიფო კა-ცებმა არ უწყიან რა მონაწილეობა-საც იღებს ხალხი ყოველ ამ გვარ აჯანყებაში? ხალხი ყოველს არეუ-ლობაში ზოგიერთა მოთავე პირების მსხვერპლია და ამ შემთხვევაში ის იყო მსმალოს აგენტებისაგან გატა-ცებული და გაბრიყვებული. იმათ, რა საკვირველია, სასჯელი ეკუთვნის, მაგრამ ნუ თუ არ ეყოთ იმათ სას-ჯელათ ამ ცხელ კრემლებში გატა-რებული სამი-ოთხი წლის ცხოვრება. ნუ თუ ესლა, ამ შევიდობიან დროზე, ჩვენი კაცთ-მოყვარეობა არ უნდა დავაყენოთ შურის-ძიების პოლიტიკის ზემოთ?

ახახებს ბურთივით ისერიან ჩვენი პორტიდამ მსმალოს პორტამდის, საიდამაც იმათ თოფის სროლით აბრუნებენ უკან და არიან ეს საწყ-ლები გაჩერებული ორ მიწა შუა

ტიქ, სად მიხვალ, შე ყურუმსალოვო? მებნები, თუ, ბიჭო, გამიშვით, არც თქვენი თბილი წყალი მინდა, არც ცივი, დეე დაეხნულდე, რა გინდათ ჩემგან?.. ამ დროს ერთი კიდევ და-აჭყვიღეს და მოუსო იმ ვერანო. მა-შინ ეთქვი, ავეტქი, მშვიდობით, საი-ქიოს კუბოთი წასვლა არ გინდოდა და ესლა ქელენზი დაროგით მიღიხარ მეთქი. მითი კიდევ ვახსენე ღმერთი და წავწექ პირქვე, ჯანი დამეარდეს, რაც მამივა, მამივა... ვამბობ, ესლა ჩემი ცოლი რა სიზმრებში იქნება საწყალი... „შუტრებ სულ მიაჭენებენ! მითი დააყენეთ და! იქნება თვალი გ. მოვარდა ნახეთ მაინც! მინ გამი-გონებს!.. აქეთ-იქით დიდი გორები უყურებ, ვამბობ, თავზე არ დამაწვეს ეს ვერანი, რა ამბავია?! მა, სწორე გზაზედაც რომ არ დადის ის ოხერი, სწორეთ ხუთ ნახვრეტში გამაძვირინა... მაშინ კი გული მაშწუხებია და დამ-ძინებია... მოსულა ბიჭუა მადვიძებს, თუ ავეტქი, პური არ გშინაო?.. მა-ვალე თვალები, ქელენზი დაროგა დგა-

იმედ მოღებულნი და სასო-წარკვე-
თილნი.

ღროა ჩვენ დავეიწყოთ იმათი
შეცდომა და როგორ სულ-გრძელმა
მამამ მივიღოთ ჩვენი ორგული შეი-
ლები. „მოწყალე იგი არის, რომელ-
მანცა არა ღირსი წყალობისა შეიწ-
ყალოს“ ამბობს საღრმეთო წერილი.

ლელო.

ახალი ამბები

ბ. ბორის ბ. მენიამინოვი გეთხოვს
შემდეგი წერილი დაეუბნებოდეთ მას
ჩვენს გაზეთში:

„სამხედრო ფერწილების სკოლაში
სწავლულობს ჩემი ძმა, რომლის სა-
ნაზავად მივედი 13-ს ამ თვისას. რო-
გორც კი დამინახა სკოლის ეზოილამ
ჩემმა ძმამ, იმ წამსვე გამოიქცა ჩემკენ
და მოახლოვებისთანავე დამიჩოქა და
ტირილით დამიწყო ხეწვნა „გამიყვანე
აქედამო“. ამასთანავე ის სცდილობდა
ჩემთვის აეხსნა მისი ყოფა-ცხოვრება
სკოლაში, მაგრამ ტირილი უშლიდა.
იქვე იდგნენ ჩემი ძმის რამდენიმე
ფეხ-შიშველი ახნაგები, რომელთაც
ჩემგან თხოვნის შემდეგ, მოკლედ
მიამბეს თავიანთი გარემოება, რომ-
ლის გადმოცემას ჩემი სუსტი კალამი
ვერ შესძლებს ისე შესაძრწუნებელია
იგი. სხვათა შორის, მე ვკითხე მათ
თუ რათ დადიან ისინი ფეხ-შიშველნი
და შემდეგი პასუხი მივიღე: „ჩვენ
ინსპექტორმა დაგესაჯა პაპიროზის წე-
ვისათვის და მთელი ერთი კვირე მუ-
დამ (კლასში და პანსიონშიც) ასე
ფეხ-შიშველნი უნდა ვიყოთ. პაპი-
როზის წევისათვის ან სხვა რამე და-
ნაშაულობისათვის ინსპექტორი მუდამ
ან ფეხ-შიშველი გვარონინებს ან და
„როზგით“ გვეცემს.“ ამ სიტყვების-
თანავე ერთმა შაგირდმა გამოიტანა

და მიჩვენა ერთი კონა „როზგი“,
რომლითაც ექვს მოსამსახურეს ამას
წინად გავროზგათ იგი ინსპექტორის
რიაზჩევსკის ბრძანებით.

მგონი ღირსია ეს ამბავი, რომ
მთავრობისაგან ყურადღებამიექციოს“

ზაზეთი „ძავეკასის“ მე 250 №-ში,
არის დაბეჭდილი წიგნი, თბილისის
გიმნაზიის მასწავლებლის ბ. მიქელა-
ძისა, რომელსაც „იმედი აქვს“,
რომ ამ წერილს გაზეთი „დროება“
გადაბეჭდავს.

შეველით ამ წერილს უმეტეს-
აქედით და ერთს შემდეგს ნომერში
მიუბრუნდებით იმის განხილვას.

„ბ. ხ. მე-5“ კლასის შაგირდისა,
მერაბ ანდრონიკოვისაგან თავის მოკ-
ვლის მიზეზებზედ საზოგადოებაში და-
დის უსაფუძლო ხმა, რომელსაც ხე-
ლი მოსკიდეს, რამდენიმე ადგილობ-
რივმა გაზეთებმა და ამტყუნებენ
მთლათ გიმნაზიის კოლეგიას. რად-
განაც მე მსურს ბოლო მოუღო ამ
უსაფუძლო ხმას და ავადგინო ტემა-
რიტება (!), ამისათვის ვთხოვთ დაბეჭ-
დოთ ეს წერილი თქვენს გაზეთში.

„მერაბ ანდრონიკოვი-შვილი იყო,
ყველას მხრით, ჩინებული ყოფა-ქცე-
ვისა, მაგრამ იყო—გულ-ჩახურული
და უყვარდა მარტოობა, თუშცა ის
არ იყო ღიდი ნიჭის პატრონი, იმან
თავი გამოიჩინა, როგორც გულ-მხურ-
ვალე და შრომის მოყვარულმა შა-
გირდმა. ამისთვის ღირექტორის შუა-
მდგომლობით, პედაგოგიურმა რჩევამ,
იმის შეუხედელივ, რომ ანდრონიკო-
ვი, ავასიყოფობის გამო, პარილში
და მასში მოაკლდა მწ გაცეხებითილს,
განათავისუფლდა ყველა ეგზამენიდან
გარდა მათემატიკისა, რომელშიაც
მიცვალებული ძალიან სუსტათ. იყო;
იმას გამოუცხადეს, რომ კანიკულებ-
ში მოემზადოს და ეგზამენი დაიჭიროს
ამ საგნიდან აგვისტოში. მაგ გვარი

გადაწყვეტილება პედაგოგიური რჩევი-
საგან, მით უფრო სამართლიანი იყო,
რომ მათემატიკის მოსწავლემ, შესა-
ძლებულად ვერ დაინახა, წლიური ბა-
ლის დასმა, რადგანაც უკანასკნელს
ორ თვეს ანდრონიკოვი არ დაირე-
ბოდა გემნაზიაში.

შაკანციების შემდეგ, ანდრონიკო-
ვი დაიჭირა ეგზამენი, რომელშიაც
მასწავლებელი და იმის ასისტენტი
დარწმუნდნენ ანდრონიკოს სრულს
მოუზნადებლობაში.

და იძულებულნი იყვნენ დაესვათ
ისეთი ბალი, რომ არ გადაჰყვანდა.
რჩევამ გადაწყვიტა დევდოთ ის იმა-
ვე კლასში; მაგრამ რადგანაც სხვა
საგნებიდან კარგი ბალები ჰქონდა,
შესაძლებლად დაინახეს ეშუამდგომ-
ლათ ბ. პოპენიტელთან პირობით გადა-
ყვანაზედ შემდეგ კლასში, რაისაგამო
გიმნაზიის სიებში ანდრონიკოვის გვარს
გვერდით აქვს მოწერილი №-B,
როგორც არის ჩვეულებათ გემნაზია-
ში, მაგრამ გარდაცვლილმა აღარ დაუ-
ცადა პოპენიტელის განკარგულებას.
ჯერ კიდევ ზაფხულშივე კენიან ანდ-
რონიკოვისა, სოფლიდან მოწერი-
ლის წიგნით ჰკითხავდა ბატ. დირექ-
ტორს, რომ შეეტყობინებია იმის-
თვის: იყო თუ არა იმედი შეილი-
შემდეგ კლასში გადაყვანისა? მაგზედ
დირექტორმა უპასუხა, რომ იმედი
არისო თუ ანდრონიკოვი მოემზადე-
ბა და ცოტაც არის ასარყოფებს პრო-
გრამის მოთხოვნილებასაო.

როგორცა ხედამთ როგორც პე-
დაგოგიურის რჩევისაგან, ისე გიმნა-
ზიის დირექტორის მხრით იყო მომხ-
დარი ყველა შესაძლო. (?)

„იმედი მაქვს, გაზეთი „დროება“
უარს არა ჰყოფს ამის გადაბეჭდვასზე“.
მიიღეთ და სხვ.

ტემან. მასწავ. გვ. მიქელაძე.

საკვებავი ხორბლებათა, რომელსაც
იყიდათან თფილისის ბაზრებში, დაქ-
ნებში და დატარებით 12 დღის გან-
მავლობაში 19 ენკენისთვიდამ 1
დღისობისთვიდქ

შამომცხვარი პური: ხორბლის ფქვი-
ლის:

- პირველის ხარისხის—1 გირე. 5 1/2 კ.
- მეორის „ — 1 გირ. 4 1/2
- იმავე ფქვილიდამ თორნეში გამო-
მცხვარი:
- პირველის ხარისხის—1 გირე. 6 1/2 კ.
- მეორის „ — 1 გირ. 5
- ჯერის მამის პური:
- პირველის ხარის. ლევაში 1 გირ. 7 1/2
- მეორის „ „ 1 გირ. 5
- მესამის „ „ 1 გირ. 5 1/2
- ძროხის ხორცი:
- პირველის ხარისხის—1 გირ. 8 კ.
- მეორის „ — 1 გირ. 7.
- სუკი — 1 გირ. 14
- ცხვრის ხორცი 1 გირ. 9
- თხის ხორცი — 1 გირ. 7 კ.

მა ტაქცია არ შეეხება სოფლის
მწარმოებლებს, რომელთაც თფილი-
სის ბაზრებში და მადენებზე მოაქვს
ხორბავი გასასყიდლად.

„დროების“ კორექცია

ფოთი, 16 სექტემბერს. ამ ღლებ-
ში მომიხდა ქართლის რამდენიმე
სოფელში ყოფნა და ვეშურები ზო-
გიერთი საყურადღებო ცნობები მკით-
ხველთ ვაუწყო.

რუისში ფერის-ცვალებას ვიყავი;
ხალხი ბევრი იყო, ყველა მხიარუ-
ლობდა. ბოლოს, ჩვეულებისამებრ,
განდა ჩხუბი ოსებსა და ქართველებს
შორის და ისე დახადეს ერთმანერთი,
რომ არა თუ ფერთ არამედ, სახე და
ტანისამოსაც აკლევინეს სისხლით
ერთმანერთს. ბარე ათამდის დაჩვენეს,

პაი! დატყვიანდა ეს ოხერი?! ახარ,
პრუთინ, სადა ვართ ეხლა? იმან თუ
სტანცია არისო, პური არ გვიანო?
მე ვებნები, ბიჭო, პური რათ მინდა,
ვიბანოთ ჩქარა და უკან წავიდეთ.
მებნება, თუ სად უნდა იბანოვო,
რას მიქარამ, ჯერ არ მიესულვართო.
მებნები, მამ რათ დადგა? იმან თუ,
პეტიქას კითხეთო, იქნეში პური ში-
ნო და ეხლავ წავალთო... მებნები,
თუ კიდევ გააქანებენ, აღარ წამო-
ვალ-მეთქი, ჩემო ძმაგ!... მსცხათაა:
მხლას სად ჯანაბას უნდა დავრჩე?
თურმე იქ სულ ტურები, სამაგა.
პრუთინაც მებნება, თუ გუშინ კამბე-
ჩები, კაცები დაუგლეჯიათო!... ჯანი
დავარდეს ისევ წავალ როგორ დავრ-
ჩები!... მებნებთან, პეტიქ, პურიო,
თორემ მოგშივავო. მამიტანეთ მეთქი,
რომელიც ძალიან იაფი იქოს და სუ-
ქანი არ იქოს მეთქი, აზიზი გული
მაქვს მეთქი. მოუტანიათ რალაც შამ-
წვარი და იმასთან ტალერკაში ორ-
მოც-და-ათი მოხრაკული მამალი ბუ-
ხები. მებნები, თუ ეს რა ამბავია?
ბიჭო, შე ყურუშსალო, ბუხები რათ

მინდა? ძალაქიდგან რომ ბუხების-
თვის აქ არ წამოვსულვიყავი, იმის-
თანა მსუქანი ბუხები სად იქნება
მეთქი?... იმან მებნება, ორი აბაზი
მაიტაო შაა! არა, არა, შეილო, წადი,
გამშორდი; ორ აბაზს ბუხებში არ
მოგცემ მეთქი, ისევ მშიერი ვიქნები
მეთქი... ამ დროს კიდევ დააყვირეს
და გამოვიქცეთ, ერთ სამ ნახერტში
კიდევ გამომამჩინეს, მაგრამ აღარ
შამეშინდა, თურმე დავეჩვიე.... ბო-
ლოს ერთიც დააძახეს და ერთი ქა-
ლაქში მოვედიო. პრუთინა და ბიჭო
მებნება, თუ ამალამ ამ ქალაქში ვიყო-
თო, ხვალ წავიდეთო. მეც უთხარ, ძა-
ლიან კარგი იქნება მეთქი, მაშინებული
ვარ მეთქი, ერთი ვინმე დედაკაცს
შავალოცინებ მეთქი... მამ ჯერ წა-
ვიდეთ გოსტინაში პური ვჭამოთო...
წავედით, დავსხედით, რალაც დავთარი
მამიტანეს და ხელში მომცეს. შა,
სულ გავვიყდი! მებნები, ბიჭო, შეი-
ლო, ჯერ არაფერი მიჭამია, დანახარჯს
რასა მთხოვ მეთქი. იმან ამბობს, არა
ალავო, აქ საჭმელები წერიაო, რომე-
ლი გინდაო? ღიახ, სწორეთ მამაჩემი

მასპარაც სულ არ ჩვენდა საჭმელებს!
მებნები ამტელი რათ მინდა? ერთი
რამე მამიტანე, იაფი იქოს მექი.
მებნება, აღა ჟარკოი ციპლონკა შე-
ბავსო. მამბობ, ციპლონკა იაფი ღი-
რება, მამიტანეთ... ის იყო წავიდ და
წავიდა! აღარ მოდის ის ყურუშლი!
მამბობ, რამოქელა ციპლონკა ქო-
ფილა, აქამდინ კამეჩი მოგვარშიდი
მეთქი. მართი საში საათი რომ კა-
რიელი სტოლისთინ მაყურებინე და
ცქერით რომ თვალში ჩინი გამომე-
ცალა და შიმშილი დამავიწყდა, მა-
მიტანეს ჩემი ციპლონკა. შა! კინამ
თვალები დამვარდა: მოუტანიათ ვთი
რილასიც ვეგებერთელა ბარკალი, არ
ვიცო ქრისტიანისა იყო, თუ უ-
რჯულოსი; შავი როგორც ახ-
შირი და ისეთი მაგარი, რომ, ამც
თუ ჩემი კბილებმა, სოლუა ყა-
საბის გაღესილი ხანჯალიც არე-
რი დააკლებდა! მებნები, ბიჭო, ეს
რის ხორცი მამიტანე? იმან ამბბს,
აღა ქათმისა ვახლავთო! მამინ კი
გავიგე, რომ ნოემ რომ კილობადამ
გამოვიდა და ქათმები გააჩინა, წა-

რეთ იქ პირველ ქათმის ბარკლმა
იყო... მებნები, ბიჭო, მე ხომ წიწი-
ლა ვითხარო, ეს რათ მამიტანეთ-მეთ-
ქი? იმან თუ, აღა ჯან დაიზარდენ-
ნო, ეხლა წიწილებს რა უნდაო! მს
საჭმელების დავთარი შამადგომავზე
იყოვო დაწერილიო და ეს ცხონე-
ბული ქათმები მამინ წიწილები იყ-
ვენო... შაა! მე სულ გული ამერი:
ვამბობ, თუ ბოზაშიც შამადგომისა
მამიტანეს-მეთქი, მენი მტერი, ეხლა
ხორველა დამემართება მეთქი. ადევ-
ქი ისეთი გამოვარდი გარეთ, რომ
კინალამ ყველამ გიყი დამიძახეს... მამ-
ბობ, ცოლ-შეილიანი კაცი რახედ
იკლამ თავი, ცარიელი პურიოც
კარგათ გაქმლები-მეთქი... შა საწყა-
ლი ქართველები რა უშნოები არიან
ფულის მოგებაში! რომ გაუფონიათ,
ფული უნდა მოვიგოთო, განა დამხ-
ჩვალი კატები უნდა გაჰყიდონ!.

დალალოლობით დაცივიდნენ და ამითი გაშველდნენ.

რუსიდან მოველი ბორს, შევხედე, ხიდი ბეგალაშვილივით წელში გაწყვეტილა და ნახევარიც ამიროვის კიზირაკით დარჩენილა, ხიდის ქვევით გაუმართავთ პარომი სწორეთ კრუხის საზუღარს ჰგავს, ოთხი კაცი გაჰყავს, თუ ერთიც მოემატა, ვეღარ გაევა, დამძიმდება და დიძირება; ამის მოწყალოებით გაღმა მხრიდგან აღარაფერი შემოდის და ყველაფერი გამძირებულია, და თვითონ ბორსაც ხომ იმისთანა ცულილება მისცემია რომ ვისაც ხიდის დროს ბორი უნახავს ეხლა ვეღარ იცნობს. წინათ თბილისელი თუ სხვა ქალაქის ხალხით სამსე იყო ბორი, და ეხლა კი მკვიდრი გორელების მეტი აღარავინ არის.

ის კი დამავიწყდა, ვილაც მსანა მჭედლის ცოლი გამოჩენილა მკითხაობს და ატყუებს ხალხსა და ჰყვლეფს; მე მაიხსნა ამ დედაკაცის სახლისკენ გავლა და მართლაც იმოდენა ხალხი უცდიდა საკითხავათ, რომ იმდენი ხალხი არც ერთს აქაურთ ქართველო და სოჭის ეკლესიაში მლოცველი არ მინახავს, ეტყობა მკითხავისა უფრო სურვილი ჰქონათ ვიდრე ეკლესიისა.

აქედამაც გიანელით არბობს, მეორე და მესამე არბობას დავესწარი, აქ უფრო გადააჭარბეს შერისცვალობა, მეორე არბობას ოსებს და ღამის ყარაულებს მოუვიდათ ჩხუბი და ბლომათ სჩხეს ერთმანერთი, ეგრეთვე მესამე არბობას, სადაც პეტრე შურცხელაძის მ წლის ვაჟი შეილი იმსხვერპლეს.

აქედამაც სხინვალს გადაველი. სხინვალი მდებარობს კარგს ალაგას ლიხვის ნაპირს, მისავალი გზიდამ რომ გადავხედე სხინვალი მშვენიერათ მეჩვენა, პატარა კონტა ქალაქს ჰგავს, მაგრამ როცა შიგ შევედი სულ სხვა სანახავი დამიხვდა, შენობები უგემოთ მიღრეცილ-მოღრეცილი, ქუჩები უსუფთაო სხვა-და-სხვა უწმინდურობით, ერთი ბაზარია ისიც ჰყარს. მგრეთვე გასაკვირველია ხიდის საქმე, ერთი მშვენიერი და მკვიდრი ხის ხიდი აქვსთ, და ისე უსუფთაოთ აქვსთ შენახული რომ მოკლეს დროში დაუღლებათ და გორელებით უხიდათ დარჩებიან; იმის დავას რა დიდი ხარჯი უნდა, რაც აუშენებიათ მას შემდეგ ხიდი არ დაუგვიათ, იმოდენა მიწაა ზედ დამხარა, რომ მოიხვნის. იქვე ხიდთანა მელქუევის სახლის გვერდით, არის ერთი ძველი სახლის კედელი, რომელიც ისე დამველებულა დღეს თუ ხვალ დაიქცევა, და უბედურებას მოახდენს და პატრონი არ არის რომ ეხლავე დაიქცევიონ ამ მოსალოდნელ უბედურების ასაცდენად. მაგრამ სად არის პატრონი, როდის იქნება ყველაფერს უწყობა და უყურადღებლობა? შიქციონ ყურადღება? სასურველია, რომ ხალხის გამყვლეფელ მკითხავებს აეკრძალოსთ თავიანთი მანეე მოქმედება. ამ მკითხავთა რჩევით ავითყოფები მიჰყავთ

ქირისუფლებს სხვა-და-სხვა ხატებთან სალოცავათ და გზაში იხრებებიან, როგორც ავითყოფები ისე კარგათ მყოფებიც. მათი მკითხავი შოთშიაც გეყავს ძაპარქონის პირზედ; ესეც ძალიან დახელოვნებულაა ოინბაზობით მოტყუებაში. არც ამას უშლიან თავის ხელობას. მან არის გამკითხველი?

ტოროლა.

დაფლვითი სიტყვა თავადი მარიამ დალიანისა — აბაშიძის ასულის დასაფლავებაზე *

25 აპრილს 1880 წელსა.

მანსვენებულო მარიამ!

შენ მცნობს და შენგან მრავალ გვარად დავალბულს ვერ მომითმენია, კუბოში უძრავად მდებარეს რომ გხედავ, უკანასკნელად არ აღვიარო ის, რითაც შენი წყნარი ცხოვრება იყო უხვად შემკული და რაც ახლა გინათებს ზეციერს გზას. შენს სიცოცხლეში არა ერთისა და ორის გულში მოგიხდენია სანატრელი და სასიკეთო ცვლილება, — არა ერთისა და ორის გულში ჩაგინერგავს და აღგიზრდია ის მაცხოვარებითი რწმენა, რომ კაცს უფრო ბევრი შეუძლია ჰქმნას საქმით — ცხოველი სიტყვით და ტკბილი დარიგებით, ვინემ მკაცრი და მკვანებ ბრძანებით და ბევრი ქადვებით და ჩუმად, უჩინრად რომ უფრო ბევრი რამ და ჭეშმარიტად კარგი გაკეთდება...

შენ შენის ცხოვრებით ცხადად გვიჩვენებდი იმ გზას, რომელსაც ერდგულად უნდა ადგეს ყოველი დედა, თუ კი ნამდვილად სურს ემსახუროს კაცობრიობას. — შენ ზედმიწევნით გესმოდა შენი მოვალეობა, როგორც დედის და როგორც მამულის შეილისა. — შენ კარგად იცოდი ცხოვრების საგანი: — ბევრჯერ გამიგონია შენგან, რომ კაცი მართო თავის-თავისათვის არ არის გაჩენილი ღვთისაგანაო, — ის მოვალეა მოყვრის წარმატებისათვის ზრუნავდესო და ამ სხვის ბედნიერებისათვის ზრუნვაში უნდა ხედავდეს კაცი თავის საკუთარს ბედნიერებასაო. — იმან მოთხრას — ვიცხოვრეო, ვინც სხვასათვის ცხოვრებდაო, იტყობი ხოლმე ხშირად. — მაგრამ შენ ისიც კი იცოდი, რაც ამისათვის იყო საჭირო: ღვთისა და კაცის სიყვარული, მტკიცე ხასიათი და შრომი — მოყვარეობა და შენს ხელში არ გამოილეოდა არასოდეს ხელსაქმარი, თუ არა წიგნი — აღზრდის საგნადაც სწორედ ეს მიკაჩნდა: მეცნიერება მახელოაო, იტყობი ხოლმე, — ის თუ პატრონმა კარგად ვერ მოიხმარა, უფრო მანებელია, ვინემ სასარგებლოო. ამიტომ ყაველ მოზარდ ყმაწვილს, რომელიც კი

*) ამ დაფლვითი სიტყვას ვსუქდავთ იმის მისჯევით, თუ რამდენად ძვირი და სანატრული შეიქმნა ამ აწმყო დროში ამ გვარის ჰასხის და სხვისათვის დაქვები... რეა.

ჰქონდა შენს ახლოს ყოფნის ბედნიერება, ეუბნებოდი: — ისწავლე, ისწავლე, მაგრამ არ დაგავიწყდეს მეცნიერება ღონე — საშვალეობა რომ არის და არა საგანი, და შენც ღმობიერის დედობრივის სიტყვით და ტკბილის საქმიანი ჩაგონებით უნერგავდი ყმაწვილებს ღვთისა და კაცის სიყვარულს, მაგრამ ან კი რაღა საჭირო იყო სიტყვა, როდესაც თვითონ შენი ცხოვრება ამის ცოცხალს მაგალითს წარმოადგენდა: — რამდენი სული სწუხს და იღვრება მღუღარე წრფელი ცრემლით, რამდენი აღამიანი ევედრება მსურველედ ღმერთს შენთვის და ისინი ხომ ყველანი შენგან დავალბულნი არიან!

ღიღს მნიშვნელობას აძლევდი შენ აღზრდაში რელიგიურ ელემენტს; მაგრამ რელიგიურ აღზრდად არ მიგაჩნდა ორი-სამი ლოცვისა და ფაქტის გაზეპირება; ეს გაკრიტი გაცნობა ხანდისხან მავნებელიც არის, თუ მას შემდეგში საფუძელიანი შესწავლა თან არ მოჰყვია და სულაც ამის ბრალია, ზოგიერთი ყმაწვილი კაცი რომ ასე აგდებით იხსენიებს სამღვთო წერილსაო... შენ სამღვთო წერილის ღრმად მცოდნე და მუდამ მკითხველი, დარწმუნებული იყავი, რომ საგნის საფუძელიანად შესწავლა გამოიყვანდა მათ დაბრკოლებისაგან და შენც თვითონ სულ იმას სცდილობდი, რომ ამ დაბრკოლებაში არ შთავარდნილიყვნენ შენს გარშემო მყოფნი და რამდენი ოჯახია ახლა გაბედნიერებული შენგან ღვთის სიყვარულში და ცნობაში გაზრდილობისაგან...

შენ იყავი შესანიშნავი შენის პატიოსანი, მტკიცე ხასიათით; შენში არ მოიძებნებოდა არავითარი ზაკვა, შური; მტერობისაგან და შურისძიებისაგან შენი გული წმინდა იყო, როგორც შენი ენა უშვერის, გინა უმსგავსის სიტყვისაგან. მერ იტყვის კაცი, შენ რომ ვისმისთვის ოდესმე მტრად შეგვხედოდა, ან ვისთვისმე შური გეძიოს, თუნდაც ძალიან ბევრჯერ გდგომია ამის განსაცდელი ცხოვრებაში; შენ ყოველთვის მზათ იყავი შეცოდება მიგეტყვებინა კაცისათვის, ითხოვდა ის ამ მოტყუებას, თუ არა.

შენ იყავი სამაგალითო, ღირსი დედა: სიყმაწვილეში დაქვრივებულმა, მთელი შენი სიცოცხლე შესწირე ერთად-ერთი შეილის აღზრდას; ამ საქმეში გამოუტყდელს გიძლოდა წინ და გინათებდა: გზას განუსაზღვრელი სიყვარული შეილისადმი, ღონეს გაძლევდა ღრმა სარწმუნოება და მტკიცე სასოება ღმერთსა და სამართალზედ, მაგრამ როგორ გესმოდა შენ სიყვარული შეილისადმი? ბევრჯერ გითქვამ — სობრალულობით: ეხლანდელს დედებს შეილები აღარ უყვარსთო და ეს გიტანჯავდა შენ გულს, ამაში ხედავდი ჩვენი უბედურების სათავეს, ხალხის ბრალი, სადაც დედები მამულის არ უზრდიან შეილებსაო, იტყობი ხოლმე და თან ამოიხრებდი კდეც ყრუთ, თითქო გამხელოს გეშინოდა.

ღიღს, შენ დედა დედობის ძირითად არ მიგაჩნდა, თუ ის მამულის სასარგებლოდ არ ზრდიდა შეილს, თუ მას შეილი მამულის მსხვერპლად არ ეგულებოდა; ბევრჯერ იტყობი: ნდობა და სიყვარული თუ არ არის დედა-შვილობას შუა, — ახალსა და ძველს თაობაში კავშირი გაწყდებოდა და ერთმანეთისა. ვეღარას გაიგონებნოა ჩვენ დედებში ნამდვილი მამულის შეილი სანთლოთ საძებნი არისო, უფრო ბევრს ჩვენგანს მამული მაიხნია თავის მსხვერპლადო და ეს უკუღმა სამართალი გითუთქავდა გულს. ამ მხრით შენ იყავი წარპომადგენელი ძველის დროის ქართველის დედისა, სადაც არის ახლა ამისთანა ღვთის მოყვარე, სამშობლო ენისა და საღმთო წერილის ზედმიწევნით მცოდნე, თავის უარის-ყოფამდის ერთგული, მშრომელი და მამულისათვის მსხვერპლად განზნადებული დედა; სადაც არის ის დრო, როდესაც ამ გვარი დედები ამშვენებდნენ და ამხნევებდნენ ჩვენს მხარეს და თუ სადმე ახლა ორიოდ მოიძებნება, ისინიც გვეცლებიან გულ-დაწყვეტილები, მაგრამ კიდევ მაინც მოიძებნენი, როგორც შენ განსვენებულო ღირსო დედაო, მარიამ!...

შენი სკოლა იყო ოჯახობრივი, მშობლიური აღზრდის სკოლა, ეს მიგაჩნდა შენ სიმტკიცედ და გზად რწმენისა და სიზნისა ახალის ღმრისა და მომავლისათვის; ამას აძლევდი შენ უმთავრესს და უძალუმესს მნიშვნელობას კაცის ხასიათისათვის, გძობის სიკეთისათვის და მთელი ქვეყნის გამამტკიცებელის ძმობისათვის. აქ მოქმედებდი შენ წყნარის, შეუნიშნავის მოქმედებით, რომელიც საზოგადო, საქვეყნო გამოჩენილს ადგილზედ მოღვაწეობას ერთის შეხედვით გარედგან არა ჰგავს თითქო, მაგრამ ნაყოფი უფრო მტკიცე, უფრო უტყუარი და სანდო აქვს. ხშირად იტყობი: გრძობა და მოსწრაფება ოჯახსა უნდა დააპუროსო, გამოზარდასო და გონება კი სასწავლებელმა და მოქალაქობამაო; მართო სიტყვითა და ქადვებით არაფერ გაიზრდებო; როგორც შენ იქცევი, რაც შენ გრწამს, რასაც ესწრაფები მისთანა გამოევა შენი გასაზრდელიო. რომელიც შენს სიტყვას კი არა, თვითონ შენ გიყურებს, თვითონ შენი საქმე უძღვის შენს გაზრდილსაო... და ამას შენი მტკიცე რწმენა, მსურველ სიყვარული სამშობლოსი და ყველა მახლობლებისა, მოყვრებისა, შენი ზედმიწევნელი ცოდნა მშობლიურის ენისა, ღრმა სწავლა საღმთო წერილისა, სიტყვობით სავე სიტყვები, მაღლიანი მიმზიდველი ქცევა იზიდავდენ და იპყრობდენ ტკბილის დედა-შვილურის კავშირით; ყველა შენს ახლო მცნობებს, შენ გაყავდენ მეგობრები მოსამსახურეების მაგიერად, შენ გქონდა აღერსი ბრძანების მაგიერად, მიმზიდველი მუსაითი ქადვების მაგიერად, საწადელი საქმეები წერთის მაგიერად და ყველა ამითა აღსავსე ჩინებული



ნაშთი ჩვენ ძველთ კეთილშობილთ დედათა შორის შემაერთებელი იყავი ახლის და ძველის დროის დედობრივი მოთხოვნებისა; შენ იყავი წმინდა კავშირი ამ ორს დროს შუა, შენი ანდერძი არის: სიყვარული, აღზრდა, ხასიათის სიმტკიცე, მამულის წრფელი სამსახური და უკვდავი რწმენა საღმრთო სიმაართისა და სამართლიანობისა. ვევედრები ღმერთს, ეს საღმრთო ანდერძი შენს ცხოვრებასა გაცოცხლდეს საქმით ჩვენში და მოგვეცეს პატიოსანი და მხნე დედები, პატიოსანი და მხნე შეილები აღზრდენი და წარმართველნი ცხოვრებისა. მრავლად ბნელოვანს გზაზედ და ამით ცხოველ იქმნენ შენი სასაგება, შენი რწმენა მომავალზედ ჩვენის მამულისა.

მშვიდობით, მართლო და ღირსად დაეუფიწყარო დედაო, მარიამ! ღმერთმან შენი მყუდრო ცხოვრება მოგვეცეს ხმა-მალალ სწავლად და საჩინო მაგალითად ცხოვრების ასპარეზზედ სჯულისათვის, მამულისათვის და კაცობრიობისათვის!...

ე. შ.

1 დეკემბერს — შემოიტანონ სიტყვიერი ანუ დაწერილი განცხადება თავის სურვილისა ამ სახლის მთავარ კანტორაში, თანახმად § 37, რომლითაც ყოველი მათგანი შეკრულნი არიან ფირმასთან.

(3-2)

ახალი გამოფენა

მთხი თვის მოქმედების ნაყოფი „ფილარკოვიჩის და ახვ.“
 მოტობრაჟიისა
 (საგანგებოდ აშენებულს სახლში)
 ბოლოვინის პროსპექტი, თ. ი. ზუბალოვის სახლი მფილისის ქრების გვერდით, ყოველ-დღე დილის 9 საათიდან საღამოს 8-მდე.

10-3

მომავალი ოქტომბრის პირველიდან ამა წლისა ეხსნი ქ. ბორში სახლს, რომელშიაც ამ წლობით, ე. ი. მამავალ 1881 წლი ეწყენითვემლი, მიიღებინან თხუთმეტადამ ოცამდე მოსწავლე ბავშვები რომელთაც ექნებათ საწოლი, სასადილო და საკითხავი ოთახები. ამავე სახლში მიიღება ჯერ-ჯერობით მუქთად ერთი რომელიმე ძალიან ღარიბი მოსწავლეთაგანი, ვინც ადგილობრივს სასწავლებელს გაათავებდეს; ამასთანავე ბავშვებზე იქნება ზედამხედველობა მათის ზნეობის დასაცველად და სწავლაზედ თვალის დაჭერა. მსურველთ შეუძლიანთ მომმარსოონ პირობების და ფასის შესატყობლად ქ. ბორში, საკუთარს სახლში.

აღალა თუთაევი.
(10-8)

პატენტისანი უჩოტაჟები
 თიბებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდან; საძმევე 30 კაზ.; ტუძკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წელის დასაწმენდი) 3 მ.-დამ და ვედრება 1 მან-დამ; თეფშები 2 მ.-დამ ინიდუჟი; შოკოლადის კანფეტები 20 გ.-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(100-57)

ღამველთ სასარგებლოდ ყოფილის გამოფენის დაბოლოებით მოსპობის გამო არის

დიდი
 დაყიდვა

ზეთიერი და აკვარელის სურათებისა გასაკვირველ იაფად, ბ. მირზოევის ყო-

ფილს სამხატვრო გამოფენაზე, ბოლოვინის პროსპექტზე, შოვეის სახლში მესტლის ფოტოგრაფიის გვერდით. მაყიდვა იწყება ამ თვის 4-დამ ამავე წლის 1 პირველ ოქტომბრამდე. იმავე რიცხვიდან გამოფენის სადგომის ერთი წილი ჰქირავდება. იქვე ეზოში იყიდება რკინის განჯინები (შკაფები).

(8-5)

ინგლისის ქალაზია

Maison de confiance
 შეადარეთ ჩვენი ნაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ნაის—1 მ. 40 კ.

| | |
|------------|----------|
| — — — 1—20 | — — 1—60 |
| — — — 1—40 | — — 1—80 |

— — — 1—60
 — — — 1—80
 საუკეთესო—2— „ — — 3— „
 იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ტურტელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვხები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტი, მურამები, მაგნეზია, უნავიკობი, კოვიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკარი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად. ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში. შინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდან 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არღის.

(100-36)

განცხადებანი

რესტორანს
 უპეიცარიუში
 ძვირას 21, და მთხზაბათს 24-ს ამა სექტემბერს დაუკრავს სახელო, მუზიკის ხორო. აგრეთვე იქნება სულ მუდამ. დასაწყისი საღამოს 7 საათზედ.

2-1

ზაქარია შიქინაძის წიგნის მაღაზიაში (ალექსანდროვის ბაღთან რუისის საყდრის გვერდით)

იხილება მარი ივანეს-ძის ბროსსმს

სურათები, თითო 30 კ. ამ სურათებისაგან შემოსული ფულით გამოიცემა თვით ბროსსმს ზგერითი სტატუები, რომელიც ფრანკუზულის ენიდან ქართულად ნათარგმნია.

ზარეშე მცხოვრებელთათვის აღრესი:
 Въ Тифлисъ въ книжный магазинъ Зах. Чичинадзе.

(10-1)

საგაჟრო სახლი იაგორკას უმოვი და ახვ.

შორჩილესად სთხოვს მეორე ხარისხის პაის პატრონებს, რომელთაც ამხანაგობიდან გასვლა ჰსურთ და უნდათ მიიღონ მათგანვე შეტანილი ძირის ფული მიმდინარე საოპერაციო წლის ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, რომელიც გათავდება ამ წლის

ისინათ უხეაღათ დაგაიკვირეთი

ამ ცოტა ხანში გაკოტრდა ერთი დიდი ფაბრიკათაგანი, რომელიც „ბრიტანია“-თ წოდებულ ვერცხლით ვაჭრობდა. ამ ფაბრიკისაგან ჩვენ მივიღეთ „ბრიტანია“ ვერცხლის საქონელი, რომელსაც ზედ აკრავს ფაბრიკის დიდი „ნამდვილი ბრიტანია“ და ვჰყიდით ყოველ ნაირ ფასად, ანუ უკეთ ვსთქვათ

- მუქთად
- ვაძლევთ. შინაც 7 მან. ქაღალდის ფულად გამოგზავნის იმას შემდეგ ნიეთები გაეგზავნებათ ღირებულზე ოთხ-ჯერ უფრო იაფად:
- 6 ცალი მშვენიერი სტოლის დანები, ტარი აქვს „ბრიტანია“ ვერცხლისა, პირი ნამდვილი ანგლისური.
 - 6 — — მშვენიერი ჩანგლები, ერთიან „ბრიტანია“ ვერცხლისა
 - 6 — — მშვენიერი სტოლის მძიმე დანები.
 - 6 — — საუკეთესო ხარისხის საყავე დანები.
 - 6 — — „ბრიტანია“ ვერცხლის ბოძკინტი.
 - 1 — — საწენე მძიმე კოვხი.
 - 1 — — საყავე მძიმე კოვხი.
 - 6 — — ინგლისური ტაბაკები (ფოდნოსი) „victoria“ მშვენიერად მოხატული.
 - 2 — — კოხტა სტოლის შანდალი.
 - 1 — — ჩაის საწური „ბრიტანია“ ვერცხლისა.
 - 1 — — ფინჯანი შაქრის ანუ პილპილის შესანახავი.
 - 6 — — მშვენიერი ნაღბაქი კვერხის ანუ ვოდკისათვის.
 - 1 — — „ბრიტანია“ ვერცხლის საყავე სქემა.
 - 1 — — „ბრიტანია“ ვერცხლის კალათი მწვანეილისათვის.

სულ 50 ნიეთი წინედ 70 მან. ღირებულნი და ეხლა კ 7 მან. მს ნიეთები „ბრიტანია“ ვერცხლიდან მშვენიერად არიან გაკეთებულნი. მს ვერცხლი ერთად-ერთი ლითონია, რომელიც მუდამ თეთრად არ რჩება, ასე რომ 25 წლის ხმარების შემდეგ განიხრევა ნამდვილ ვერცხლისაგან. ამის შესახებ ვაგვიტ.

მართად-ერთი ადგილი მთელი მეროპისათვის, სადაც შეიძლება ეს ვერცხლი შეუკეთონ არის შმთავრესი ღებო ინგლისის ფაბრიკის „ბრიტანია“ ვერცხლისა. ადრესი:

L. Nelken, ვენაში (VI, Vindmuhlgasse № 26, Wien).
 ჩემი განცხადება რომ ტყვილი არ არის ამის დამამტკიცებლად აქ გაემიერებ ქების წერილებს და მადლობათა და განმეორებულს შემოკვეთებას რომელნიც მრავალი მიმიღია მთელი იმპერიიდან და პოლშის სამეფოდამ: შენქ ლავრინოვიჩი მორონოვიდამ; მაიორ სოკოლოვსკი—მოლდავა, ად. პრეობოროვსკი—პენცინე, პ. პარვინსკი მორდინში, მ. ხმელნიცკი—სპისეკი, ი. პლიურსკი—მედიანა და სხვ. და სხვ. პესტრი—მენგრიდამ—მარიამ თ. პუერსპერგ ნიდდერშტატში, მირტემბერგ, ლენერალი ფაბრიკინა რაბში, ი. რაბე სებასტიანბერგში, თ. სამლერი მერში, იოს. ძიხბერგერი სალცბურგში, ბერარდ მრხი ბაჩევიში, ნოტარიუსი იმარე-მოლნარი ბრას ბეცეკერეში, იოს ნეიდვერი მზუნდენში, ღმიტრი ძოპიც—პრად. იოს შოდერბეკ ძანისში და სხვ. და სხვ.

რადვანაც ბევრი გვიკვეთენ ამ ავეჯეულობას, მსურველებს ვთხოვთ მალე გეცნობონ თავიანთი მოთხოვნისაგან. შეკვეთის დროს ვთხოვთ ცხადათ და გარკვეულად ამოიწეროთ ადრესი, რომლითაც ავეჯეულებანი გამოიგზავნებიან. მაღასხადი და სხვა ხარჯი გაგზავნის დროს ერთობ ცოტაა და, ვგონებთ, ერთი მან. მეტი არ იქნება. სხვა ფირმებისაგან განცხადება ამ ავეჯეულებაზედ მხოლოდ მიზამევა.

(6-5)